

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი

ქალბატონებო და ბატონებო დავიწყოთ დღევანდელი სხდომა. მოგესხენებათ დღევანდელი სხდომა გახლავთ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ღონისძიება, კერძოდ მოგესხენებათ ამ ცენტრში მოქმედებს სემინარი, რომლის პირველი სხდომა ჩატარდა და იმ სემინარის თემა გახლდათ “სარწმუნოება და მეცნიერება”. ეს მეორე სხდომა გახლავთ ამ სემინარის მუშაობისა, რომელიც ეძღვნება სხვა თემას, კერძოდ სარწმუნოებისა და ფსიქოლოგიის საკითხების ურთიერთმიმართებას. მინდა მოგახსენოთ, რომ ეროვნული ფსიქოლოგია, როგორც ფენომენი, საბჭოთა კავშირის დროს ფაქტობრივად ტაბუდადებული იყო და მთელი ადამიანთა მოდგმა ერთ სივრცეში განიხილებოდა, როგორც ერთი ფსიქოლოგიის მატარებელი. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო და ეროვნული ფსიქოლოგია ასეთი ფენომენი არსებობდა და ამის შესახებ, სხვათა შორის, ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში საქართველოში იცოდნენ და აცნობიერებდნენ ამ ფაქტს და კერძოდ ცნობილი მეცნიერი, ქართლის კათოლიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე თავის ერთ-ერთ ტრაქტატში სრულიად ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ ძველქართულად ტერმინი ერი, ისე როგორც ნათესავი იხმარებოდა და ამბობს იქ რომ “რომელიმე ნათესავნი ესვეითარნი არიან ბუნებით და რომელიმე ეგვეითარნი”. ანუ სხვადასხვა ბუნების ერები არსებობს და ეს ბუნება ტერმინი, ძველი ქართული ტერმინი, აღნიშნავს, რასაც ჩვენ დღეს ეროვნულ ფსიქოლოგიას და ეროვნულ მენტალობას ვუწოდებთ და მაშასადამე ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ნიკოლოზ გულაბერისძე აშკარად განასხვავებდა ეროვნულ ფსიქოლოგიას და ამბობდა, რომ ჭეშმარიტადო “განყოფა მადლთან არის ყოველთა ნათესავთა შორის”, ე.ი. თვისებები სხვადასხვა ერს სხვადასხვანაირი აქვს. ეს რა თქმა უნდა ფაქტია, რომ ესეთი ფენომენი არსებობს ეროვნული ფსიქოლოგიისა და მე პირადად მგონია, რომ ამ ეროვნულ ფსიქოლოგიაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული არა მარტო კულტურული განსხვავებანი, არამედ საზოგადოების სოციალური სტრუქტურაც და თუ გნებავთ საზოგადოებრივი წყობილებაც. კერძოდ, მე მინდა მოგახსენოთ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია, ბურჟუაზიული წყობილება ჩაისახა და განვითარდა იქ, იმ საზოგადოებაში, დედამიწის ზურგზე, ქვეყნიერებაზე, სადაც არსებობდა მანამდე ევროპული ფეოდალიზმის სტრუქტურა. ეს იყო დასავლეთი ევროპა და აზია, ეს იყო იაპონია. ნამდვილი ფეოდალიზმი თავისი კლასიკური სტრუქტურით ეს იყო დასავლურ-ევროპული

იაპონიაში და თქვენ წარმოიდგინეთ ასეთივე სტრუქტურა იყო მხოლოდ საქართველოში. აი ეს სამი წერტილია ევრაზიაში. ახლა ამერიკაზე ზედმეტია ლაპარაკი, სადაც ნამდვილი ფეოდალიზმი არსებობდა და განსხვავება საქართველოსა და ევროპას შორის ის გახლდათ, რომ საქართველოში ეს სტრუქტურა 200 წლით ადრე ჩამოყალიბდა ვიდრე ევროპაში. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩემი აზრით, ეს შედეგია ასე ვთქვათ ერთგვაროვანი, ეროვნული ფსიქოლოგიისა, მაგრამ სამწუხაროდ ევროპაში ეს განვითარდა და ჩამოყალიბდა იმ სტრუქტურად, რაც არის ევროპაში განვითარებული ლიბერალური დემოკრატია. საქართველოში ეს არ მომხდარა იმიტომ, რომ საქართველოს საზოგადოებრივი განვითარება მე-13 საუკუნიდან შეჩერდა, შეფერხდა მონღოლების შემოსევების გამო, მოხდა სრული ეკონომიკური დეგრადაცია და ამის გამო კარგად ჩანს, რომ იქმნებოდა ახალი სტრუქტურები, იმ წყობილების სტრუქტურას შემდგომ ბურჟუაზიულს უწოდებენ, ისახებოდა ეს საქართველოში, ანუ ეს მესამე წოდება, ე.წ. ბურჟუაზიისა ფეხს იდგამდა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ებმებოდა, რაც ბუნებრივია შემდეგ ალბათ ისევე განვითარდებოდა, როგორც ევროპაში, მაგრამ ეს არ მოხდა ამ შემოსევების შედეგად. მე მინდა გითხრათ, რომ ეროვნული ფსიქოლოგია ჩვენი აზრით და არა მარტო ჩვენი აზრით არის გენეტიკური მოვლენა. ყველაფერს ამ თვალსაზრისით სხვადასხვა გენეტიკა აქვს და სხვადასხვა ეროვნული ფსიქოლოგიაც გააჩნიათ. თუ ევროპაში, იაპონიაში ამან ჩამოაყალიბა დღევანდელი ბურჟუაზიული სტრუქტურები, ასეთი რამ სხვაგან აზიაში არ მომხდარა, ეს ევროპული მოვლენაა, ლიბერალი დემოკრატია და ზოგი ჩვენი ფილოსოფოსი მოგეხსენებათ ამას თვლის ისტორიის დასასრულად, საზოგადოების განვითარების დასასრულად, იმიტომ რომ უკეთესი და უფრო სრულყოფილი სტრუქტურა ფიქრობენ რომ არც შეიძლება ჩამოყალიბდეს, მაგრამ აზიაში ამის განვითარება არც მომხდარა და ამიტომ დემოკრატიული სტრუქტურა აზიაში არც ჩამოყალიბებულა, არც რუსეთში ჩამოყალიბებულა დემოკრატიული სტრუქტურა. რუსები ამას თვითონ აღიარებენ. მოგეხსენებათ, რომ პუშკინის თანამედროვე ჩადავეი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში წერდა, რომ ევროპის განვითარება მიდიოდა მონობიდან თავისუფლებისაკენ და ასეც მოხდა, რუსეთის განვითარება მიდიოდა თავისუფლებიდან მონობისაკენ. ეს რუსეთის განვითარებამ კარგად აჩვენა და კომუნიზმმაც დაადასტურა. დღესაც ეს ფაქტი ნათლად ჩანს. ასე რომ, ეს გენეტიკური მოვლენა გახლავთ და ყველა ერისთვის ეს ბუნებრივად დამახასიათებელი არის. სხვათა შორის მე მინდა აქვე გითხრათ რომ, ჩემი აზრით, ის დაპირისპირება რაც დღეს არის რუსეთსა და ჩვენს შორის, მნიშვნელოვანწილად ამითაა განსაზღვრული. განსაზღვრულია ჩვენი და რუსების სრულიად შეუთავსებელი ფსიქოლოგიური განწყობით. ანუ, ეს სხვა თემაა და ამაზე სხვაგან შეიძლება ლაპარაკი. დღეს მოგეხსენებათ კონკრეტულად თემა ჩვენი დღევანდელი სემინარის გახლავთ სარწმუნოებისა და

ფსიქოლოგიური პრობლემების ურთიერთობა და ნინოს ვთხოვთ ორიოდ სიტყვა გვითხრას.

ნინო ჭავჭავაძე,

ფსიქოლოგიის დოქტორი

ყოვლად სამღვდელონო მეუფენო, მამანო, დედანო,

ქალბატონებო და ბატონებო!

მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის! უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს ბატონ დავით ლორთქიფანიძეს გულისხიერი თანამშრომლობისათვის და საკონფერენციო დარბაზის თანამშრომლებს გაწეული დახმარებისათვის!

დღევანდელი ჩვენი სემინარი ”სარწმუნოება და ფსიქოთერაპია” ერთ-ერთია მუდმივმოქმედი სემინარიდან - “ ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში”, რომელიც ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრმა მიუძღვნა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. ეს მიძღვნა ჩვენი უწმინდესის მხოლოდ უდიდესი პატივისცემითა და მისადმი მოწიწებით არ არის ნაკარნახები: ათეიზმის ბატონობის პერიოდში საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ თავისი მოღვაწეობის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო აქტიური ზრუნვა სულიერი და ეროვნული ღირებულებების ასაღორძინებლად და ეკლესიასა და მეცნიერებას შორის ხელოვნურად და საგანგებოდ ჩატეხილი ხიდის აღსადგენად. უფროს თაობას კარგად ახსოვს ინტელიგენციის შეხვედრები პატრიარქთან და შედეგად საქმიანი ერთობლივი ზრუნვა ქართული ცნობიერების შესანარჩუნებლად. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბევრი პროგრესული ეროვნული იდეა თუ ქმედება სათავეს სწორედ საპატრიარქოში იღებდა. თუ 20-30 წლის წინ ეროვნულ ღირებულებებზე ზრუნვა, ათეისტური პროპაგანდის გამო, ხშირად პროვინციალურ მოთხოვნილებად ცხადდებოდა, დღეს მსოფლიო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი ტრადიციების პატივისმცემელი ერებისათვის, ეჭვს გარეშეა, რომ ჭეშმარიტების ძიება, ზოგადად მეცნიერული და შემოქმედებითი პროგრესი, ცალკეული პიროვნებისა თუ საზოგადოების მრავალმხრივი სირთულეების მოგვარება, სულიერებაზე დაყრდნობილი ეროვნული ღირებულებების აღიარებისა და გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა 2011 წლის 16 დეკემბერს მეფე იაკობის ბიბლიის 400 წლის იუბილეზე, აღნიშნა რა ბიბლიის მნიშვნელობა ბრიტანელებისათვის, ოფიციალურად განაცხადა:

“ჩვენ უნდა დავიცვათ ქრისტიანული ღირებულებები, თუ გვინდა დაეუპირისპირდეთ მიმდინარე ზნეობრივ დაცემას . . . ჩვენ უნდა დარწმუნებით ვუთხრათ ადამიანებს - სწორედ ეს ღირებულებები გვაყალიბებს საზოგადოებად!”

ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ქადაგებებსა და ეპისტოლეებში გადმოცემულია სიბრძნე, რომელიც გარკვეულ ორიენტირად ყალიბდება სხვადასხვა დარგის მკვლევარებისათვის. ძალზე საამაყოა, რომ თანამედროვე მსოფლიოს გლობალური გამოწვევის-სავარაუდო “ცივილიზაციათა შეჯახების “იდეის პასუხად ჩვენმა უწმინდესმა “ცივილიზაციათა დიალოგი” გამოაცხადა. ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოსათვის ყველაზე აქტუალური იდეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაუჩნდა: საქართველოს კათოლიკოს –პატრიარქს, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს 1997-2005წლებში მოჰამად ხათამს და ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ თურქი ეროვნების ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს ფეთჰულაჰ გიულენს, მხოლოდ ამტკიცებს ამ იდეის განხორციელების აუცილებლობას. 2005 წლის საადღგომო ეპისტოლეში უწმინდესი აღნიშნავს:

“ჩვენმა ერმაც პასუხი უნდა გასცეს “გლობალიზაციის” მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებს და თანამედროვე მსოფლიოში თავისი ადგილი და ფუნქცია იპოვოს”, რაც ჩემი აზრით, იმასაც ნიშნავს, რომ საქართველომ ინტელექტუალური წვლილი შეიტანოს თანამედროვე სამყაროს განვითარებაში. ღრმად გვწამს, რომ ამ მიზნის მისაღწევად მსოფლიო კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება და სულიერ ეროვნულ ღირებულებებზე აღმოცენებული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა აუცილებელია, სწორედ ამიტომ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრში დაფუძნდა მუდმივმოქმედი სემინარი

„ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში”.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლა აქამდე ცნობილი იყო გამოჩენილი ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის “განწყობის თეორიის” წყალობით. ამ თეორიის მიხედვით, ყოველ ადამიანს მთელი სფერო აქვს აქტიუობისა, რომელიც წინ უსწრებს მის ჩვეულებრივ ცნობიერ ფსიქიკურ ცხოვრებას და განწყობა არის სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც არ

წარმოადგენს თავისთავად ცნობიერების შინაარსს, მაგრამ მაინც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მის მუშაობაზე.

რამდენად გამოიყენება დღეს ადამიანთა პრაქტიკული პრობლემების მოგვარებისას განწყობის თეორიის მონაპოვარი და რა არის გასაკეთებელი ამ უნიკალური თეორიის შენარჩუნება-განვითარებისათვის, ცალკე შეკრებისა და მსჯელობის საქმეა, რასაც იმედია მომავალში განვახორციელებთ.

დღეს კი ჩვენი სემინარის: ”სარწმუნოება და ფსიქოთერაპია” მიზანია სარწმუნოებასა და ფსიქოლოგიას შორის არსებული კავშირის წარმოჩენა, მათი ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა, საერო და სასულიერო პირთა აზრის შეჯერება თანამედროვე ადამიანის ფსიქიკური პრობლემების მოგვარების საკითხში.

ჩვენს ცენტრში დამკვიდრებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ საერო და სასულიერო პირთა ნააზრევს აღნიშნულ საკითხზე.

პირველი მომხსენებელი იქნება დეკანოზი დავითი (ციციქიშვილი), შემდეგი კი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ კორინთელი.

ნინო მენტეშაშვილი

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ფსიქოლოგი

ჩემი გამოსვლა მინდა დავიწყო ციტატით 50-ე ფსალმუნიდან “გული წმიდაი დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა”. განახლების, პიროვნული და სულიერი ზრდის, საკუთარი თავის შეცნობის გზაზე რელიგია და ფსიქოთერაპია -ორივე ცდილობს დაეხმაროს ადამიანს, ორივე ზრუნავს ადამიანის სიმშვიდესა და სულიერ სიფხიზლეზე. ორივეს სურს ადამიანმა ვნებების გადალახვით, საკუთარ შიშებთან პირისპირ შეხვედრით, ნების წრთვნიტა და პოტენციალის განვითარებით მიაღწიოს ჰარმონიასა და მოიპოვოს მთლიანობის განცდა. როგორც კარლ იუნგი წერდა “ადამიანს აქვს სული და მის მინდვრებში დიდი საგანძურია დაფლული”. ადამიანური საგანძური საერთო ზრუნვის საგანია რელიგიისა და ფსიქოთერაპიისთვის.

მინდა გაგამახვილო ყურადღება რელიგიისა და ფსიქოლოგია-ფსიქოთერაპიის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და რთულ ურთიერთკავშირზე ონკოლოგიური დაავადებების დროს. უმრავლეს შემთხვევაში სიმსივნის დიაგნოზს თან ახლავს შოკის, შიშის, უარყოფის, მოწყენილობის, ბრაზის, უიმედობის, მწვავე სევდისა და მარტოობის განცდები, პაციენტს რთულ საკითხებთან უწევს პირისპირ შეხვედრა და გამკლავება, როგორცაა ფიზიკური სიმპტომები, განსაკუთრებით - ტკივილი, ფსიქოლოგიური დისტრესი, ოჯახისა და ახლობლებზე წუხილი, ეგზისტენციალური საკითხები, ბევრი სვამს კითხვას რატომ მე? და ეძებენ მიზეზებს. ძიების გზებმა მნიშვნელოვანი სულიერ-პიროვნული ტრანსფორმაცია შეიძლება მოუტანოს ადამიანს.

ძველი სიბრძნე გვეუბნება რომ არ არსებობს მიზეზი შედეგის გარეშე და შედეგი მიზეზის გარეშე. ადამიანებმა ჯერ კიდევ 2000წლის წინ მიაქციეს ყურადღება სიმსივნისა და ემოციური მდგომარეობის კავშირს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში რომაელმა ექიმმა გალენმა აღნიშნა, რომ სიცოცხლისმოყვარე და მხიარულ ქალებს ნაკლებად ემართებოდათ სიმსივნე, ვიდრე ქალებს, ვინც უმეტესწილად დათრგუნულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. 1701 წელს ინგლისელი ექიმი ჰენდრონი წერს, რომ სიმსივნის მიზეზი ხშირად ცხოვრებისეული ტრაგედია ხდება.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ამ დარგში ეკუთვნის იუნგის მოსწავლეს ელიდა ევანსს- “სიმსივნის კვლევა ფსიქოლოგიური გადმოსახედიდან”, სიმსივნის მქონე 1000 ადამიანის გამოკვლევის შემდეგ გამოვლინდა, რომ მათმა უმრავლესობამ დაავადებამდე ცოტა ხნით ადრე გადაიტანა მნიშვნელოვანი ემოციური დანაკარგი, ყველა მათგანი განეკუთვნებოდა ისეთ ფსიქოლოგიურ ტიპს, რომლებიც მიდრეკილნი არიან მიეჯაჭვონ რომელიმე ერთ ობიექტს ან როლს (ადამიანს, სახლს, სამსახურს) და არ ავითარებენ საკუთარ ინდივიდუალობას, როცა კარგავენ ამ ობიექტს, ასეთი პაციენტები რჩებიან საკუთარ თავთან მარტონი ყოველგვარი უნარის გარეშე გაუმკლავდნენ მსგავს ემოციურ სიტუაციას, ელიდა ევანსი ასევე თვლის, რომ სიმსივნე ეს სიმპტომია ცხოვრებაში არსებული გადაუწყვეტელი პრობლემებისა, ამასვე ეთანხმება ჰოლმსი, რომელიც ამბობს, რომ სიმსივნე ასახავს გადაუწყვეტელ ემოციურ კონფლიქტებს. სიმონტონი (Simonton) და სიგელი (Siegel) სიმსივნის განვითარების ერთ-ერთ წინაფაქტორად თვლიან მნიშვნელოვან ემოციურ დანაკარგსა და სიცარიელის განცდას.

ექიმ ლე შანმა გამოყო სიმსივნური პაციენტების 4 ძირითადი მახასიათებელი:

1. ბავშვობასა და ახალგაზრდობაში თავს გრძნობდნენ მარტოსულად, მიტოვებულად, სასოწარკვეთილად, ადამიანებთან ზედმეტად სიახლოვის ეშინოდათ.

2. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე დაამყარეს ღრმა ღირებული ურთიერთობა ან იღებდნენ დიდ დაკმაყოფილებას სამუშაოთი, ეს გახდა მათთვის ცხოვრების საზრისი.

3. შემდეგ ეს ურთიერთობები გაქრა მათი ცხოვრებიდან და კვლავ დადგა

სასოწარკვეთა, რამაც გაახსენათ მტკივნეული ბავშვობა.

4. ასეთ პაციენტებს უძნელდებოთ განცდების გამოხატვა, განსაკუთრებით ბრაზის.

სიგელი თვლის, რომ სიმსივნით დაავადებული პაციენტების ფუნდამენტალური პრობლემა არის საკუთარი თავის სიყვარულის უუნარობა, რადგანაც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე სიყვარულს ვერ იღებდნენ სხვებისგან.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ემოციურად მატრავმირებელი გამოცდილება მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაგრამ ადამიანის რელიგიურ-სულიერი ღირებულებების სისტემა შეიძლება ძლიერი პოზიტიური რესურსის წყარო გახდეს მსგავს სიტუაციებთან გამკლავებისთვის. სიმონტონი ხაზს უსვამს რწმენისა და ცხოვრების საზრისის მნიშვნელობას სიმსივნესთან გამკლავებაში. ასევე არსებობს გარკვეული კვლევები, რომლებიც საუბრობენ ემოციურ რეგულაციასა და რელიგიას შორის კავშირზე. ლოცვას, მედიტაციას, მიმტევებლობას, მიმღებლობას, რიტუალებში მონაწილეობას შეუძლიათ აკონტროლონ ნეგატიური ემოციები, როგორებიცაა: დანაშაულის განცდა, ბრაზი და ა.შ.

ასევე, რელიგიური ჩართულობა ასოცირდება უკეთეს ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობასთან და ხანგრძლივ ცხოვრებასთან.

ცხოვრების საზრისის ძიება, საკუთარი დიაგნოზისთვის მნიშვნელობის მიცემა პასუხობს ადამიანის კითხვებს: როგორ და რატომ, კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ რელიგიისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აისახება დაავადებისათვის მნიშვნელობის მინიჭებაზე. პოზიტიური დამოკიდებულების დროს რელიგიური დოგმები და დებულებები ტრანსფორმირდება სიმბოლურ ცხოვრებასთან ზიარებაში, ასეთი პაციენტებისთვის ღმერთი კეთილია და მოსიყვარულე, ეს მათ აძლევს სიმშვიდისა და კომფორტის შეგრძნებას, ისინი ხშირად გადააფასებენ ცხოვრებას და იმუშავებენ ახალ პრიორიტეტებს ურთიერთობებში, სოციალურ ცხოვრებაში და გადადიან თვით-შეცნობის უფრო ღრმა დონეზე. რელიგია და სულიერი გამოცდილება ხშირად ხსნის გზას შინაგანი მოგზაურობისკენ.

ნინო სირაძე

ფსიქოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ცნობილია, რომ ხანგრძლივმა კომუნისტურმა ხანამ და, ზოგადად, ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელმა უკიდურესმა მატერიალიზმმა დააშორა ადამიანები რელიგიას, გაღრმავდა მოსაზრება, რომ მეცნიერებას არაფერი აქვს საერთო სულიერებასთან და გააჩინა უფსკრული რელიგიასა და მეცნიერებას შორის. თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ ორ სფეროს შორის არც თუ ისე დიდი უფსკრულია. მაგალითისთვის თუ ავიღებთ ფსიქოთერაპიას და, ზოგადად, ფსიქოლოგიას, ისიც რელიგიის მსგავსად, ადამიანის დახმარებას, მისი განვითარებისათვის ხელის შეწყობას ისახავს მიზნად. ბუნებრივია, რელიგია ამას თავის ტერმინებში მოაქცევს (ცოდვები, ვნებებისაგან გათავისუფლება, სულიერი ზრდა და ა.შ.), ხოლო ფსიქოლოგია – საკუთარ ცნებებში (ვნებებს აქ კომპლექსები და მათი გაცნობიერება შეესაბამება).

დიდი მსგავსებაა აღსარების საიდუმლოსა და ფსიქოთერაპიის პროცესს შორის – ორივე შემთხვევაში ადამიანი მეტად უღრმავდება თავის შინაგან სამყაროს, უკეთ შეიცნობს საკუთარ თავს, ცდილობს გაუმკლავდეს შინაგან კონფლიქტებს – რელიგიაში ამას ისევ და ისევ ცოდვის ტერმინში მოვაქცევთ, ხოლო ფსიქოლოგიაში – შინაგან კრიზისს ვუწოდებთ. კ. გ. იუნგი აღნიშნავდა, რომ მისი პაციენტებიდან, მათ, ვინც ქრისტიანი იყო და აღსარებას ხშირად აბარებდა, თითქმის არ აღენიშნებოდათ ნევროზი (Jung C.G., “The Symbolic Life”, 1954). თუმცა, წმიდა მამების თანახმად, ექიმს არ უნდა დაავიწყდეს მისი პროფესიული საზღვრები და არ უნდა ჩაერიოს მოძღვრის მოვალეობაში – რაც

სულის მკურნალობას გულისხმობს. ფსიქოლოგის სამოქმედო არეალი – არა სული, არამედ სამშენველი – ანუ ფსიქიკაა.

იუნგი ასევე ხაზს უსვამს სიმბოლური ცხოვრების მნიშვნელობას (Jung C.G., 1954), როგორც ამას ერის ფრომი უწოდებდა – ესაა უნივერსალური ენა, რომელიც ჩვენ დავივიწყეთ (Fromm E., „The Forgotten Language“, 1951). ის კი ბევრ რამეს მოგვითხრობს. ესაა ზოგადსაკაცობრიო ცოდნა, ის, რაც ყოველთვის არსებობდა და კვლავაც იარსებებს – იუნგი ამას არქეტიპებს უწოდებს და თვლის, რომ ისინი ადამიანის ფსიქიკის ყველაზე ღრმა სფეროში – კოლექტიურ არაცნობიერშია დავანებული.

ერთ-ერთი ასეთი არქეტიპი იუნგისთვის *თვითობის* არქეტიპია, რომლის ერთ-ერთ სიმბოლოდ იესო ქრისტე განიხილება – ესაა ცენტრალური მომწესრიგებელი, შინაგანი ცენტრი, რომელთანაც კავშირი უნდა დავამყაროთ, რაც ჩვენს გამთლიანებას, იუნგის მიხედვით, ინდივიდუალიზაციას შეუწყობს ხელს. რელიგიურად შეგვიძლია ვთქვათ – ღმერთთან, ჩვენში არსებულ ღვთიურ ხატთან სიახლოვე.

იუნგი, ასევე, გამოყოფს *ჩრდილის* არქეტიპს – ესაა ჩვენი ბნელი მხარეები, ის ნაწილი, რომელიც ცნობიერი ფსიქიკისთვის მიუწვდომელია. ფსიქიკანალიზი გვეხმარება თვალი გაგუსწოროთ ჩვენს ჩრდილოვან მხარეებს, ამით კი კვლავაც ინდივიდუალიზაციას, პიროვნულ სრულქმნას შევუწყობთ ხელი. რელიგიური ცხოვრებისთვისაც არაა უცხო საკუთარ ბნელ მხარეებთან დაპირისპირება.

ჰელენე ჰიორნი იუნგი – კ. გ. იუნგის ქალიშვილი თავის წიგნში ღვთისმშობლის მართლმადიდებლური ხატების შესახებ (Jung H.H., „Maria – Bild des Weiblichen“, 1991), რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა და მალე გამოიცემა, ხატებს არქეტიპებთან აიგივებს და ფიქრობს, რომ ისინიც შეიცავენ იმ დაფარულ აზრს, რაც ასე ადვილად არ შეიცნობა და მათი არსის წვდომისათვის ჩვენგან გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს. ხატები გადმოგვცემენ სულიერებას, მადლს, რაც უფლისგან ჩვენკენ მოემართება. ისინი სწორედ სიმბოლური ენით გვესაუბრებიან – ყველა დეტალი, იქნება ეს სიმბოლო, ფერი, რაღაცას მოგვითხრობს, ჩვენ კი ამ ენის წაკითხვა უნდა შეგვეძლოს.

ამრიგად, უპირველესად რელიგიური ცხოვრება და შემდგომ უკვე ფსიქონალიზი ეხმარება ადამიანს შეიცნოს საკუთარი თავი, თავისი შინაგანი სამყარო, რელიგიურ ენაზე – დაუახლოვდეს მასში არსებულ ღვთიურ ხატს და მიაღწიოს ინდივიდუალიზაციას, პიროვნულ სრულყოფას.

სოფიკო გოგოჩაშვილი

ფსიქოლოგიის მაგისტრი

მართლმადიდებლური ფსიქოლოგია მეცნიერების შედარებით ახალგაზრდა დარგია და, ალბათ, განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ ის ადამიანები, ვინც ერთგულობენ უძველეს, დოგმატებზე დამყარებულ სარწმუნოებას, ეჭვითა და უნობლობით არ მოეკიდონ მას.

ხშირად, სასულიერო პირთაგან მოვისმენთ, რომ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს და ცოდვასთან კაცის ბრძოლა მოძღვრის დახმარებით უნდა წარიმართოს, რადგანაც ამგვარი დახმარება და შეწევნა მხოლოდ კერძო ადამიანის – კონკრეტული სასულიერო პირის პირად გამოცდილებას და ცოდნას კი არ ემყარება, არამედ იმ საღვთო მადლს, რომელსაც მორწმუნე მოძღვართან ურთიერთობისას და საიდუმლოებებში მონაწილეობის შედეგად იღებს.

ცხადია, შეუძლებელია, რომ ამ მოსაზრებას დაუპირისპირდეს ადამიანი, თუნდაც უკიდურესად განსწავლული მეცნიერი, თუ კი იგი მართლმადიდებლური მოძღვრების ჭეშმარიტებას აღიარებს.

მაშ, როგორი უნდა იყოს ჩვენი, მართლმადიდებლური მრწამსის მიმდევრების დამოკიდებულება მეცნიერების ამ ახალ დარგთან, რომელსაც მართლმადიდებლური ფსიქოლოგია ეწოდება?

აქ ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა საკითხთან მიდგომისას ფუნდამენტური კითხვით უნდა დავიწყოთ: რა არის ადამიანის ცხოვრება და რას ემსახურება იგი: მართლმადიდებლური შეხედულება ყველასთვის ცნობილია: ცხოვრება ღვთისგან კაცთათვის მინიჭებული ძვირფასი საჩუქარია და ის იმგვარად უნდა განვვლოთ, რომ გადავრჩეთ და მარადიული ნეტარი ცხოვრება დავიმკვიდროთ. ეს უცვლელი ღირებულებაა და ნებისმიერი საშუალება, რომელიც ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება, რაც უნდა არაკონსერვატიული, ზედმეტად თანამედროვე და, ერთი შეხედვით, ისტორიულ საფუძველს მოკლებული ჩანდეს, ალბათ მაინც უნდა მივიღოთ და გამოვიყენოთ.

ამ შემთხვევაში საკითხავი სწორედ ის არის: შესძლებს თუ არა შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი მართლმადიდებელი ფსიქოლოგი და ფსიქოთერაპევტი, დაეხმაროს ადამიანს. ვფიქრობთ, რომ შესძლებს.

სწორედ ამ მიდგომებს განიხილავდა მოხსენება, რომელიც ჩვენს წინაშე წარმოადგინა დეკანოზმა დავით ციცქიშვილმა.

ამ მოხსენებიდან აშკარაა, რომ მოძღვარს აუცილებლად მოეთხოვება ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნა და მისი გამოყენება სამოძღვრო პრაქტიკაში, ასევე მართლმადიდებელი ფსიქოლოგი აუცილებლად კარგად უნდა იცნობდეს სწავლებას, მონაწილეობდეს საიდუმლოებებში და შეძლოს მკვეთრად გამიჯნოს საკუთარი, როგორც ფსიქოლოგის და მოძღვრის მოღვაწეობა, ამავე დროს მისი მკურნალობა ჰარმონიულად შეუსამაბოს სასულიერო პირის მოღვაწეობას.

დეკანოზ დავით ციცქიშვილის მცდელობა ჰარმონიაში მოიყვანოს რელიგია და ფსიქოლოგია დასაფასებელია, რადგან ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში ფსიქოთერაპია განიხილებოდა, როგორც რელიგიასთან დაპირისპირებული მეცნიერება, ამის მიზეზი ალბათ, ფსიქონალიზისთვის დამახასიათებელი

რელიგიასთან შეუთავსებელი ზოგიერთი მოსაზრებაა, თუმცა არ ითვალისწინებდნენ გამოჩენილ ფსიქოლოგთა იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელნიც თავიანთ ნაშრომებში ლაპარაკობდნენ რელიგიაზე, რელიგიურობაზე და მის მნიშვნელობაზე პიროვნების განვითარების თვალსაზრისით.

ხშირად მართლმადიდებელი მრევლი და სასულიერო პირები უნდობლობით უყურებენ ფსიქოკონსულტაციასა და ფსიქოთერაპიას, რადგან ის ცალსახად ადამიანებით მანიპულირებად განიხილება. თუმცა არის შემთხვევები, როცა გარკვეული პრობლემის მქონე ადამიანს სწორედ სპეციალისტის დახმარება სჭირდება და მოძღვარი არ ფლობს იმ ცოდნას, რომელიც მოცემულ მომენტში არის საჭირო მრევლისთვის. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური ცნობიერების მქონე ფსიქოთერაპევტი და ფსიქიატრი, რომელიც შეძლებს დაეხმაროს როგორც გაჭირვებაში მყოფ ადამიანს და მის ოჯახის წევრებს, ასევე შეეცდება მოძღვართან კონსულტაციებით მოაგვაროს პრობლემა.

ეფექტობთ, რომ მართლმადიდებლური ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარება მომავალშიც იმ გამოწვევების მიხედვით უნდა წარიმართოს, რომელთა წინაშეც მოუწევს დგომა ჩვენს საზოგადოებას და შესაბამისად ეკლესიას, რომლის წევრებიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაა.

ლელა ტყეშელაშვილი,

წმინდა ანდრია პირველწოდებულის

უნივერსიტეტის დოქტორანტი

ძალიან დიდი მადლობა ასეთი წარდგენისათვის, ახალგაზრდა სპეციალისტებში მოვიაზრები, დიდი მადლობა მოწვევისათვის და საშუალების მოცემისათვის, რომ ჩემი აზრიც გამოვთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით. ძალიან ბევრი რამ აქ ითქვა და ჩემს სათქმელსაც გარკვეულწილად მოაკლდა, მაგრამ ასოციაციურად,

მას შემდეგ, რაც მამა დავითისა და ბატონი რეზოს მოხსენებები მოვისმინეთ, ფსიქოთერაპიული პრაქტიკიდან, რომელიც ერთი პერიოდი იყო და მერე, ასე ვთქვათ, სხვა გზა ავირჩიე, განათლების ფსიქოლოგის ექსპერტის როლი მოვირგე. მე გამახსენდა რამდენიმე შემთხვევა, რა სირთულეები მქონია, როგორც ფსიქოლოგს, როდესაც შეხება მქონდა სასულიერო სფეროსთან, პაციენტთან ურთიერთობაში და როგორ მიცდია ამის მოგვარება. შეიძლება ეს თქვენთვის საინტერესო იყოს, მე ასე ჩავთვალე და ამიტომ მინდა ამის შესახებ გესაუბროთ. პირველ რიგში, აქ ბევრი იყო საუბარი მოძღვრის ფუნქციაზე, ბევრი იყო საუბარი ფსიქიატრის ფუნქციაზე. ფსიქოლოგებს გვაქვს რაღაც რთული მდგომარეობა, დამეთანხმებიან ჩემი კოლეგები, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანს უფრო უადვილდება, რომ მივიდეს ფსიქოლოგთან, რაც თითქოს არ უდერს ცუდად. პათოლოგია არა მაქვს, მაქვს რაღაც პრობლემა, რომელიც შეიძლება იყოს მარტივად მოგვარებული. ძალიან ხშირად აღმოვაჩინეთ, რომ არის უკვე ჩამოყალიბებული პათოლოგია და გვჭირდება ექიმის დახმარება, ან არის სულიერი პრობლემა და გვჭირდება მოძღვართან ურთიერთობა. ის შეუადრე ხაზი, რომელიც საკუთრივ ფსიქოლოგიური მომენტი არის და რაც ჩვენ უნდა გვეხებოდეს, თითქოს ძნელი გამოსაკვეთია, ერთი შეხედვით. მე მაქვს დიდი ბედნიერება ჩემს სტუდენტებს ვასწავლიდე სასულიერო სემინარია-აკადემიაში ფსიქოლოგიას. თავის დროზე მე ეს შეკითხვა დამისვა ქალბატონმა დარეჯან რამიშვილმა, ის უზნაძის მოსწავლე გახლდათ და გვეკითხა, რა არის ფსიქიკა ბავშვებო, რას ემსახურება, სად მდებარეობს? ბატონმა რეზომ ბრძანა, რომ ფსიქიკა ტვინის ფუნქციაზე არ დაიყვანება. უკვე გასაგებია, ფსიქიკა მატერიალურად რომ არსებობდეს, სად არის ტვინშია, გულშია? სხეულის რომელ ნაწილშია, ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ის არის რეალობა და პირველად ბატონმა დიმიტრი უზნაძემ დაამტკიცა, რომ ის რეალობაში არსებობს, იმიტომ რომ ექსპერიმენტმა გვაჩვენა, რომ ეს რაღაც შედეგი ფსიქიკით გამოწვეულია. რა არის ფსიქიკის ფუნქცია, ხშირად ვეკითხები ბავშვებს, იმიტომ რომ, მე სურვილი მაქვს ამით დაიწყონ ფიქრი ფსიქოლოგიაზე. ფაქტიურად ეს არის იარაღი, საშუალება იმისა, რომ ადამიანმა სწორად დაამყაროს გარემოსთან ურთიერთობა. აქ იგულისხმება მატერიალური გარემოც, იგულისხმება ადამიანებთან ურთიერთობებიც და ასეთი ადაპტაციის დარღვევის პირობები არის ფსიქოლოგიის სფერო. მაგრამ ეხლა ჩამოგივლით რამდენიმე შემთხვევას, რის გამოც ბოლო დროსაც მომმართეს. ვერ გამოვაცხადებ, რომ ეხლა ფსიქოლოგი აღარა ვარ, ვარ ნამდვილად ფსიქოლოგი. ფსიქოლოგი და ფსიქოთერაპევტი სხვადასხვა არის იმიტომ, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრება არ იძლევა სრულ უფლებას, რომ ფსიქოთერაპიას მოკიდოს ადამიანმა ხელი. მას სჭირდება სპეციალური 4-5 წლის განათლება, დიდი პრაქტიკა და პროფესიონალი ფსიქოლოგიც, არ ეწყინებათ ჩემს კოლეგებს, დეფიციტია, არ არის მარტივი, რომ არ გადააწყდე ისეთ ადამიანს, რომელიც არ არის გამოცდილი ამ სფეროში. სხვადასხვა სირთულეს მინდა შევეხო.

რამოდენიმე ხნის წინ, შეიძლება ერთი თვეც არაა გასული, რაიონიდან ერთ-ერთმა მოძღვარმა მომმართა და მითხრა, რომ ადამიანს აქვს შეპყრობილობის ნიშნები. აქ არის, რაც მამა დავითმა ბრძანა რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებული, ესე ვთქვათ რეაქციები პაციენტის მხრიდან და მას ეგონა, რომ მე ვარ ფსიქიატრი, იმიტომ რომ ფსიქოლოგსა და ფსიქიატრს ხშირად ერთმანეთში ურევენ ხოლმე და ამ მოძღვარმა თვითონ ბრძანა, რომ ყველა რიტუალი, რაც ეკლესიურად ჩასატარებელია, ეს ყველაფერი ტარდება, კვეთებულის ღოცვები, მონასტერთან ურთიერთობა და ასე შემდეგ და მან ასეთი ფრაზა მითხრა, ბოროტ ძალას ვერ უწამლებო. რასაკვირველია, მაგრამ იქნებ ამ ადამიანის ტანჯვა გარკვეულწილად იყოს შემსუბუქებულიო. აქ ჩემი ჩარევის დონე არის მინიმალური. აქ ჩემი ფუნქცია, ნამდვილად ზუსტად არ ვიცი, გულწრფელად გეუბნებით, იმიტომ რომ არ მინდა დაგრჩეთ განცდა, რომ ფსიქოლოგებმა ყველაფერი ვიცით, სად, როგორ, როდის რა უნდა გავაკეთოთ, ნამდვილად არა. მქონდა ასეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანს ჰქონდა აკვიატებული შიში დახველების, მაგალითად და ეს მოძღვრისთვის არ უთქვამს რატომღაც, ის ეკლესიური იყო, მას ქონდა შიში, რომ ზიარების პროცესში დაახველებდა და მე მას სასწრაფოდ ვთხოვე ამის შესახებ ვთქვა მოძღვრისათვის, იმიტომ რომ, რაც ვისწავლე მამა დავითისაგან, ქალბატონი ნინო კანდელაკისაგან, ვიცი, რომ აღსარებას ეს დანიშნულებაც აქვს, რომ თუკი იქ რაიმე ძალა მოქმედებს, ის იყოს განეიტრალებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც ეს შიში მოიხსნა, ადამიანს მეორე შიში გაუჩნდა ყოფით მოვლენასთან დაკავშირებით, მაგალითად მის შვილს რამე არ დაემართოს, მეორე შიში მოეხსენით, მესამემ ჩაანაცვლა. უკვე აქ საუბარია იმაზე, რომ ფსიქიკაა აქ ლაბილური და აქ საჭიროა ჩაერთოს ფსიქიატრი. ან მოდის მაგალითად დედა, რომელსაც პრობლემა აქვს შვილთან ურთიერთობაში, უკვე მესამე მაგალითი რომ ავიღოთ და ბავშვი არის თავისთავში ჩაკეტილი, დაწეული თვითშეფასებით, კლასში ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს, სასკოლო ნევროზი აქვს და ბავშვი ხატავს, ვახატინებთ ბავშვებს, ეს ჩენი ერთ-ერთი მეთოდია და მე მოგიყვებით ესეა, არაპროფესიონალისთვისაც იოლი გასაგებია, მან დახატა ყვავილი და მზე და როდესაც მას ვთხოვე ყვავილის სახელით ელაპარაკა, მან თქვა, რომ ყვავილს ეშინია, ქარმა არ დაუქროლოს, იქ რაღაცა არ დაემართოს და სულ უნდა, რომ მზესთან ერთდ იყოს, მზემ დაიცვას ამ პრობლემებისაგან, არაპროფესიონალიც მიხვდება, რომ აქ დედის დეფიციტის მომენტიც, ეს დაკავებული დედაა, მუშაობს და ასეთი დედები უამრავი გვყავს. მოგეხსენებათ დღეს ეს ტოტალური პრობლემა არის, ეს უკვე კონკრეტულად არის ჩემი სფერო, მაგრამ მიუხედავად იმისა, გუშინ ჩემს კოლეგებთან ერთად, მამა გიორგი ზვიადაძესთან ერთად გვქონდა თათბირი, მან თქვა, თითქოს ჩვენ გვეჩვენება, კონკრეტულად ფსიქოლოგის სფეროა, მაგრამ შემოდის სულიერების მომენტიც, მაგრამ მე ამას ვერ გავაკეთებ, დედას ვერ მივუთითებ მის დედურ მოვალეობაზე. მე რისი თქმა მინდოდა, ბოდიშს

მოვიხდი, რომ ასე გამიგრძელდა სიტყვა, მაგრამ ეს იმბიოზი, რაზეც მამა დავითი ბრძანებდა, რაზეც დღეს ჩვენ ვსაუბრობთ, კარგად არის გასამიჯნი, ვინ არის დღეს პრიორიტეტული სპეციალისტი, ვინც დღეს თავის თავზე პასუხისმგებლობას აიღებს გარკვეულ შემთხვევაში, მაგრამ გაიდლაინებით, ბატონი რეზოსი არ იყოს, ასე ვერ გავეყოფთ, მაგრამ სასურველია ყველა ჩვენგანს, ამ სამი სფეროს წარმომადგენლებს, გარკვეული რაღაც ელემენტარული ცოდნა გვქონდეს, რომ ერთმანეთთან გადავამისამართოთ ეს ადამიანები, ჩემი აზრით. მე მოკრძალებულად ვიტყვი, დიდი ხანია, ამის საქმის კურსშია მამა დავითი და იმიტომ ვბედავ ამის თქმას. დაახლოებით 10 წელიწადია რაც რაღაცას ვკითხულობ ამ სფეროსთან დაკავშირებით და მოკრძალებით ვცდილობ შევეხო ამ სფეროს და თან ძალიან ვფროთხილობ, მაგრამ ძალიან არ მინდა, რომ ფსიქოლოგები ასეთ მდგომარეობაში გამოვიყვანო, მაგრამ უკვე ვხედავ, რომ სასულიერო პირები ცდილობენ დაუძახონ ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებს, მიიღონ მათგან კონსულტაციები. მე ვფიქრობ, ჩვენც გვმართებს, რომ სასულიეროს კონსულტაციები ჩვენც ავიღოთ, იმიტომ რომ მე აუდიტორიაში დღესაც, ნუ მიწყნთ, რომ როდესაც სასულიერო პირი საუბრობს რაღაც ღრმა სულიერ პრობლემასთან დაკავშირებით, ვხედავ საერო პირების სკეპტიკურ გამომეტყველებას. როცა საერო ადამიანი რაღაც სიღრმისეულ ფსიქოლოგიურ საკითხზე საუბრობს, ცოტათი საგრძნობია, რომ ბოლომდე ამის დაჯერება რთულია. რატომ? იმიტომ რომ ამ დონის ცოდნაზე ერთ სფეროშიც და მეორე სფეროშიც, ადამიანი რომ მივიდეს, რაღაც გარკვეული ბეგგრაუნდი, საფუძველი ამისათვის აუცილებელია. სხვათა შორის ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიას შორისაც რთული ურთიერთობაა. მართალი რომ ვითხრათ, იმიტომ რომ ხანდახან მიდის ადამიანი სვამს წამალს პრობლემასთან დაკავშირებით. მაგალითად ბავშვს აქვს რაღაც უყურადღებლობის პრობლემა, მშობლის მხრიდან, რაც წელან მოვიყვანეთ და სასკოლო ნევროზთან დაკავშირებით, შეიძლება პატარა მედიკამენტი დაუნიშნოს ფსიქიატრმა, მიზეზი ხომ ამით არ მოიხსნა, ე.ი. რაღაც ფონი შექმნილი იმისთვის, რომ შეფოთვა იყოს დარეგულირებული, რომ ამ ფონზე შემდგომში ფსიქოლოგმა იმუშაოს, პარალელურად ჩართული იყოს ყოველთვის მოძღვარი და შეკითხვა, წელან მამა გიორგიმ რაც ბრძანა, რისთვის გვჭირდება ჯანმრთელობა? ჯანმრთელობა ჯანმრთელობისათვის არ გვჭირდება. ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში, თუ მე არ მეშლება, საბოლოო მიზანი ფსიქოლოგიაში თუ თვითაქტუალიზაციაა ადამიანისა და შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლინება, ამას თუ მივადწიეთ, ჩვენ ჩვენი ესე ვთქვათ მიზანი შევასრულეთ და მშვიდად შეგვიძლია დავიძინოთ, მაგრამ ადამიანის, დღევანდელი ქრისტიანის, უკვე დამკვეთი გვეავს ჩვენ, მისი მოთხოვნაა არა უბრალოდ თვითრეალიზაცია, არამედ გადარჩენა, ეს უკვე ჩვენს სფეროს პირდაპირ სცილდება და აქ გაჩერება თვითაქტუალიზაციაზე არ არის საკმარისი და შესაძლებელია კიდევ არ წავიდეთ ამ გზით. ბოდიშს გიხდით, თუ ტონი

ისეთი არ გამოივიდა, მაგრამ მე მგონი პირველი ჩვენი მიზანი უნდა იყოს ურთიერთგანათლება და დიდი გამოცდილების დაგროვება და დაგროვილი განათლების ურთიერთგაზიარება. დიდი მადლობა.

ნინო კანდელაკი,

**წმ. გაბრიელ ქიქოძის სახელობის ფსიქოლოგიური
დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი**

მოგესალმებით, პირველ რიგში ძალიან დიდი მადლობა უნდა ვუთხრა ჩემს მასწავლებელს რეზო კორინთელს, ძალიან მიყვარს და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა. რეზომ მთელი თაობები გაზარდა ფსიქოლოგების, ფსიქოთერაპევტების. მამა დავითიც, მეც და კიდევ ბევრი ადამიანია მისი მოსწავლე. ძალიან მიხარია, რომ სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა ეს ყველაფერი, რომ თამამად შეიძლება სულიერებაზე ორიენტირებულ ფსიქოთერაპიაზე საუბარი და კიდევ ძალიან დიდი მადლობა თქვენ, მამა მაქსიმე, რომ თარგმნეთ ეს წიგნი იეროთეოს ვლახოსის “მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია”. ესლა გავიგე, ამწუთას მითხარით, რომ შემდგომი წიგნის თარგმნას აპირებთ, არ ვიცოდი, თუ ამ თემაზე კიდევ წიგნი გქონდათ დაწერილი და რაღაცნაირად, მე ვთვლი, რომ სრულიად ახალი ეტაპი დადგა ამ მიმართულებით და რა თქმა უნდა, კიდევ ძალიან დიდი მადლობა მეუფე დანიელს, რომ ეს ყველაფერი განხორციელდა, საშუალება გვაქვს მოვისმინოთ ესეთი ლექციები, წყნარად, მშვიდად გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამ თემაზე და მე ვფიქრობ, რომ გაგრძელდება ეს ყველაფერი. ერთი უბრალოდ გამოვედი, იმიტომ, რომ მაქვს ასეთი წინადადება, თუ შეიძლება, რომ შემდგომში ეს გაკეთდეს. მე უკვე 10 წელია ვარ პრაქტიკოსი ფსიქოთერაპევტი, ყოველ დღე ვმუშაობ ადამიანებთან, ჩვენი ცენტრი არის საპატრიარქოს ცენტრი და არის სულიერებაზე ორიენტირებული ფსიქოთერაპია და ძალიან დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა: ვთქვათ აი ზუსტად იმ თემებთან დაკავშირებით, რაზეც მამა დავითი და ბატონი რეზო საუბრობდნენ, თუ შეიძლება რომ შეხვედრა მოხდეს მოძღვრებთან, ფსიქოთერაპევტების ჩართვა რა დროსაა საჭირო. ესლა მაგალითებს ვერ მოვყვები, გამოცდილების გაზიარების საშუალება ცოცხლად რომ იყოს.

ქალბატონი ტატა ჭავჭავაძე: დიდი სიამოვნებით, ჩვენ ვაპირებდით ასეთ შეხვედრებს და ჩვენი ცენტრი უმასპინძლებს ამ შეხვედრებს და გავაგრძელებთ მუშაობას. დიდი მადლობა.

ახლა ვთხოვ არქიმანდრიტ ადამს, საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სასწავლებლის რექტორს, რომ შეაჯამოს ჩვენი სემინარი. გთხოვთ.

დღევანდელი ჩვენი თემა არის ერთ-ერთი ყველაზე რთული, რაც კი არსებობს ინტელექტუალურ სივრცეში და მე შემეშინდა რაღაც მზა თეზისები მომემზადებინა დღევანდელი დღისათვის. ამიტომ მთლიანად ცნობიერზე რომ არ ვიყო გადართული, ცოტა ქვეცნობიერი და ჩემი აუთენტური მეც დამეხმარება იმაში, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დავაყენოთ დღეს. სარწმუნოება და ფსიქოთერაპია, სემინარი განსაზღვრულია არაჩვეულებრივად, აქ არ არის ის უკიდურესი გადახრები, არც მარცხნივ და არც მარჯვნივ, რომელიც ხშირად ჩვენს აზრებს თან ახლავს ხოლმე. რადგან ამგვარი უკიდურესობანი გამოიწვევს შემდგომ მარგინალურ განვითარებას თვით დარგშიაც და ჩვენ შეიძლება საუკეთესო შედეგებამდე საუკეთესო მეგზურად ვერ მოგვევლინოს. ის, რომ დღეს ჩვენ მივიღეთ სრულიად უნიკალური ინფორმაცია და ალბათ ეს დისკუსიის საგანი არ უნდა გახდეს და საერთოდ დღევანდელმა სემინარმა, ჩემის აზრით, ახალი ეტაპი დააფიქსირა, დისკუსიებიდან ჩვენ გადავდით დიალოგის ფაზაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დიალოგი ორ სუბიექტს შორის, ერთ მხარეს არის ეკლესია, იმ ადამიანებით, რომელთაც აქვთ მეტ-ნაკლებად გამოხატული ეკლესიური მსოფლმხედველობა და ხშირად საკმარისად განსხვავებულიც, იმიტომ რომ ქრისტიანული რელიგია პიროვნულია და ყველა ადამიანს აქვს თავისი სუბიექტური ხედვანი, მეორე მხარეს ადამიანები, რომელთაც აქვთ მოწმობა იმის შესახებ, რომ ისინი არიან სპეციალისტები რომელიმე ფსიქედარგში, ფსიქემეცნიერების ამა თუ იმ სფეროს წარმომადგენელი. ეს არ არის მარტო ფსიქოლოგია და მარტო ფსიქოთერაპია. ეს არის მეცნიერებათა მთელი კომპლექსი და ჩვენ ამიტომაც ასე მოვიხსენებთ ამას, ფსიქემეცნიერებანი. როგორია ჩვენი დამოკიდებულება იმისადმი, თუ სადაა ფსიქოთერაპიის ადგილი, როცა რელიგიასთან მიმართებაში გვაქვს საუბარი. მე პირდაპირ გეტყვით, რომ მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჩვენს უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ეწოდება ფსიქოპიგიენა, ფსიქორეაბილიტაცია და ფსიქოთერაპია, ერთ და ორ წელს არ ითვლის, ჩვენ საგანთა ჩამონათვალში ვერ ნახავთ ასე განსაზღვრულ რამეს, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მიუხედავად იმისა, რომ ვინც არ იცის, მინდა შევახსენო, რომ ჩვენ საპატრიარქოს უნივერსიტეტი გახლავართ. ჩვენი განსაკუთრებული სფეროა კვლევის სწავლების სწორედ ფსიქემეცნიერება. რატომ? იმიტომ რომ, ჩემის აზრით, ამგვარი განმარტება აუცილებელი არაა, თუ

ვინმე შეშფოთდა, დავამშვიდებ, რომ ჩვენ ალტერნატივა გვაქვს ამ სახელწოდების და ჩვენ ვლავარაკობთ მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ფსიქოთერაპიაზე, მაგრამ აუცილებელი არაა განმსაზღვრელად გამოვიდეს სახელწოდებაში მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, თანაც უფრო დიდი მეცნიერული გამოცდილების მქონე სხვა უნივერსიტეტებში მსგავს რამეს ვერ ნახავთ. თუ არ ვცდები, არსად არ არსებობს ასი წლის კათოლიკურ უნივერსიტეტებში და მეტი წლის კათოლიკური ფსიქოთერაპია და ჩვენ ამის ნუ შეგვეშინდება, მათ ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ და მეთოდოლოგიაში საჭიროა ხოლმე ეს ყველაფერი ვნახოთ. რა გვეშლება და რატომ არის, რომ დიალოგის პრობლემა დგება. სწორედ ის ხდება, რისიც ყველას, ვინც მიზანზეა გათვლილი, ეშინია ხოლმე. ფსიქოთერაპია არის მეცნიერულ-პრაქტიკული დარგი. ფსიქოთერაპია უპირველეს ყოვლისა ბიომედიცინის ნაწილია. მართალია იგი ჩვენს მატერიალისტურ წარსულში და დღევანდელ მატერიალისტურ ყოფაში ხშირად რჩება ჰუმანისტური სფეროს ნაწილად, მაგრამ ეს მთლად სწორი არაა. იმიტომ რომ, ის რასაც სიტყვა “ფსიქით” აღვნიშნავთ, სხეულის გარეშე არ არსებობს. თუ სხეულზე წარმოდგენა არა გვაქვს, ძალიან ძნელია. ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო შენ ის განათლება, რომელმაც მერე შენ ვიზა უნდა მოგცეს და მიხვიდე ადამიანთან, რომელსაც მისი ერთი ნაწილი, დღეს ძალიან კარგად იყო ხაზგასმული, არის ავადმყოფური, პათოლოგიური. საჭიროა ადამიანის მთლიანობაში ხედვა, ესეც ჩვენი გამორჩეული ხედვაა და ვფიქრობ ამას უნდა ვიმსჯელოთ ჩვენ. ფსიქოთერაპევტები უნდა აღიზარდონ, უპირველეს ყოვლისა, ბიოსამედიცინო წილში. განათლების სისტემის წიაღზე გვაქვს ამ შემთხვევაში საუბარი და ამ შემთხვევაში თვით ჩვევებიც, რომელიც უნდა ჰქონდეს ფსიქოთერაპევტს, ბევრად უფრო პროფესიული იქნება. მადლობა დამერთს, რომ ამგვარი აზრი უკვე გაუღერდა და ამგვარად მე მთლად რადიკალურად არ მომნათლავთ. ისევ დაეუბრუნდებიან მარტებს ფსიქოთერაპიისა. ფსიქოთერაპია მაშ არის დარგი, რომელიც რაღაცის თერაპიას, ანუ მკურნალობას მოიცავს. ჩვენ არ ვლავარაკობთ, რომ ის მოიცავს დიაგნოსტიკასაც, მოიცავს პროფილაქტიკასაც და ა.შ. ამ შემთხვევაში თერაპიაზე გვაქვს საუბარი. ჩემის აზრით, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, იმ შემთხვევაშიც, როცა ჩვენ მას ასეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მაინც რედუცირებული ტერმინია. მართლმადიდებლობა თერაპიაზე ორიენტირებული როდია. მართლმადიდებლობა ადამიანის უკვდავი სულის მარადიულ დამკვიდრებაზეა ორიენტირებული. რატომღაც, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ნამდვილად რედუცირებასთან გვაქვს ჩვენ საქმე. ესეც მეთოდოლოგიური პრობლემაა აქვს ამას. იმიტომ რომ, როცა ჩვენ წმინდა მამებს მივყვებით, მათ პასუხი აქვთ ყველაფერზე. საერთოდ ეკლესიას პასუხი აქვს ყველა შეკითხვაზე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიცით ეს ყველაფერი. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ვახდენთ წმინდა მამების მოძღვრების გადმოტანას, რაც ორიენტირებულია ადამიანის სულის ხსნაზე და გვინდა ეს თერაპიულ

ჩარჩოებში მოვაქციოთ და გინდა თუ არა ამას დავარქვათ მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მთლად გამართლებული ვერ იქნება, იმ მიზეზის გამო, სულ სხვა რამეა საჭირო, საჭიროა მოვამზადოთ იმგვარი ფსიქოთერაპევტები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, რომლებიც იქნებიან შეაირადებული მართლმადიდებლობაში არსებული სრული ცოდნით. აი, ესაა ძალიან მნიშვნელოვანი. ამიტომ ალბათ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ამაზე დისკუსია და კარგი იქნება, რომ ერთი დიალოგი ამ თემას დაეთმოს. სხვა შემთხვევაში ჩვენ გვექნება იმგვარი არასასურველი შედეგები, რაც გვაქვს. არსებობს ამგვარი ტექსტები, რომლებსაც ეწოდებათ მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. ასეა დასათაურებული. მაგრამ თქვენ მასში ვერ ნახავთ ვერაფერს, რაც ფსიქოთერაპევტიკისთვის იქნება ნაცნობი. მე როგორც ფსიქოთერაპევტი, თუ ვიღებ ტექსტს, რომელსაც აწერია როგორც გნებავთ ფსიქოთერაპია, კოსმოსური, წარსული, ფანტასტიკური თუ სხვა, ის ჩემთვის ნაცნობი უნდა იყოს, ჩვენ ერთ ენაზე უნდა ვისაუბროთ, ხომ სწორია. სხვანაირად, როდესაც ლაპარაკია ქირურგიაზე, როგორი ქირურგიაც არ უნდა იყოს, მათ შორის უსისხლო ქირურგიაც, იგი ქირურგიას გულისხმობს და არა სხვა რამეს. ამაზე უნდა შევთანხმდეთ. აქ ჩვენ უბრალოდ სიტყვების არასწორ გაგებასთან გვაქვს საქმე. მერე ეს მკვიდრდება, აშორებს ერთმანეთისგან და იმის მაგივრად, რომ ჩვენ შეგვეერთებინა სარწმუნოება და ფსიქოთერაპია, ავდექით და ფსიქოთერაპია დავარქვით მხოლოდ იმას, მხოლოდ იმ ნაწილს, რომლითაც უნდა გაგვემდიდრებინა ის, რასაც ფსიქოთერაპია ჰქვია. მხოლოდ უნდა გაგვემდიდრებინა მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვახერხებდით ყველაზე მნიშვნელოვან რამეს, ყველაფერ ამას ვთარგმნიდით ფსიქოთერაპიის ენაზე. იგივე ეხება ფსიქოლოგიის ნებისმიერ დარგს. როდის მივიღეთ ჩვენ არაჩვეულებრივი სახელმძღვანელოები ზნეობრივ ღვთისმეტყველებაში. როდესაც დადგა საკითხი ქრისტიანული ეთიკა გვესწავლებინა აკადემიურ სასულიერო განათლების სისტემაში. საფუძვლად ავიღეთ ფილოსოფიური ეთიკა და ვისაც წაუკითხავს ზნეობრივ ღვთისმეტყველებაში დაწერილი სახელმძღვანელოები, ძალიან კარგად წერია, მთელი ისტორიაა ჩამოყალიბებული, როგორ მოხდა მთელი მეთოდოლოგია. მეცნიერული მეთოდოლოგია არა გვაქვს, ესაა მთავარი, სხვანაირად ვერ განვითარდება, სხვანაირად ჩვენ დავრჩებით აი ასეთ ღონეზე, თუ მე მორწმინე ვარ და ჩემი სულიერი მოძღვარი არის მართლმადიდებლური ეკლესიიდან, მე მაქვს ჩემი შეხედულებანი და ეს შეხედულებანი შეიძლება მოვახვიო კიდევ პაციენტს, არადა ყოველთვის მე უნდა ვიყო მეცნიერებაზე დაფუძნებული და იმ ცოდნაზე, რომელსაც ფსიქოთერაპია, როგორც მეცნიერული და პრაქტიკული დარგი მოიცავს. სხვაგვარად ჩვენ ვერ შევძლებთ ყველაზე მთავარს, ვერ შევძლებთ ფსიქოთერაპიიდან იმ სარეველას გამორჩევას და აქ სარეველას გამორჩევის დრო არ არის, როგორც სახარებაშია, ბოლოს რომ დაველოდოთ. ამიტომ დროულად უნდა გამოვარჩიოთ სარეველა ჩვენ, რათა მთელი რიგი მიმართულებანი, პოსტულატები, რომელიც ფსიქოთერაპიაშია, ჩვენ

გავემიჯნოთ მათ. ჩემი აზრით, მეთოდოლოგიურად ეს ბევრად უფრო გამართლებული იქნება. ერთ-ერთი საინტერესო თემა წამოწია და მე ერთი სიტყვით შევეხები ამას, ჩვენ ყველანი თუ ფსიქემეცნიერებაზე ვისაუბრებთ, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რა იგულისხმება ფსიქეში. ფიქიკოლოგიას არ ვსწავლობთ ჩვენ, ფსიქიკა და ფსიქე არ არის ერთი და იგივე. ფსიქოლოგიას არა ფსიქიკიდან ჰქვია ფსიქოლოგია, არამედ ფსიქედან და დიმიტრი უზნაძის ცნობილი ფრაზა თქვენ ჩემზე უკეთ იცით იმის თაობაზე, რომ ფსიქოლოგიამ დაკარგა სული, ფსიქე და ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ ყველა ფსიქემეცნიერებას დაუბრუნდეს ეს სული, ფსიქე. თუ ფსიქე არ იყოს რედუცირებული ფსიქიკამდე, ცნობიერებამდე, სიზმრებამდე. ვის რა უნდა. იცით ყველა ისე განმარტავს ამ ფსიქეს, ზოგიერთი საგნებით თავისუფლები არიან ამაში, როდესაც ჩვენ ფსიქეში ვგულისხმობთ სულს მთლიანობაში, ადამიანის მთელ სულიერ საწყისს, სრულ სულიერ საწყისს და ამ სრული სულიერი საწყისის შესწავლაში ყველას თავისი ადგილი აქვს. რაც არ უნდა განვაეითაროთ ჩვენ ფსიქოთერაპია, იგი სულის ყველაზე მაღალ, საკრალურ ნაწილს ვერ შეისწავლის, ვერ განკურნავს, იქ ადგილი არის უკვე არა ფსიქოთერაპიის, აი იქ ადგილი არის სწორედ მაღლის მოქმედებისა და როგორც არ უნდა გავარჩიოთ ჩვენ რისგან შედგება ლიტურგია, რა ხდება აღსარების დროს და ა. შ. ერთი რამ ხდება, ღვთის მაღლის მოქმედება. ეს არის ის, რისი აღწერაც წარმოუდგენელია და რისი იმედიც გვაქვს ჩვენ ყველას. რაც არ უნდა ბევრი ვისაუბროთ, ბევრი რამ შევისწავლოთ ფსიქოთერაპიაში, ბოლოს იმედი ერთი რამისა გვაქვს ჩვენ, რომ უფალი თავისი მოწყალებით მაღლს მოიღებს ჩვენზე. ამ თვალსაზრისით, ამ გადასახედიდანაც, მე არ მიმაჩნია მთლად გამართლებულად ეს ტერმინი, მართლმადიდებლური ფსიქოლოგია, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, ხოლო მეცნიერული თვალსაზრისით პირდაპირ გეტყვით, რომ შეცდომაა. არ შეიძლება ამგვარი განმარტება. ესაა ჩვენი თავის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება მაშინ, როდესაც ჩვენ გვყავს ჩვენსავე სივრცეში უამრავი მოწინააღმდეგე. იცით, ზოგჯერ ჩვენ გვეჩვენება, რომ ყველა ისე ფიქრობს როგორც ჩვენ და აი დღეს არაჩვეულებრივი გარემოა ჩვენთან და თუკი დავეკითხებოდით, ვნახავდით, რომ ადამიანთა ძალიან მცირე ნაწილი აიღებდა ბილეთს, რომ ჩვენს კუნძულზე მოსულიყო გემით. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ კუნძულზე ვართ და ირგვლივ არის სეკულარიზებული სამყარო, რომელსაც არავითარი კავშირი ყველა ამ ღირებულებებთან არ გააჩნია. თვით მართლმადიდებლურ ქვეყნებში უამრავი დისკუსიაა იმის თაობაზე, რომ არ იქნას დაშვებული ფსიქოლოგია და ფსიქოთერაპია მართლმადიდებლობის სიახლოვეს. ჩვენ გვინდა ეს უგულვებელყოთ, ეს ფაქტია. უამრავი ადამიანია ამის წინააღმდეგი, რატომ? მარტო იმიტომ კი არა, რომ არ იციან, იმიტომ რომ ფსიქე დარგში მოღვაწეობს უამრავი ადამიანი, რომელიც დაკავებულია ოკულტიზმით, ჰიპნოზით, ურთიერთობა აქვს ათასი რჯულის ჯადოქრებთან. ყველაფერ ამას ფსიქოთერაპია და ფსიქოლოგია ჰქვია

დღეს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ფსიქოლოგიის და ფსიქოთერაპიის რეაბილიტაციაც გეჭირდება და მისი მნიშვნელობის დაფუძნება. მეორე უკიდურესი მიმდინარეობაა ის, როდესაც ფსიქოლოგები, ფსიქიატრები და ა.შ. საერთოდ არ ღებულობენ იმას, რომ საერთოდ რამე შეუძლია გააკეთოს ეკლესიამ და მაქსიმალურად ემიჯნებიან მას. ამგვარ პირობებში, მადლობა ღმერთს, რომ ამ საზოგადოებაში, ამ წიაღში ჩვენ დღეს გვაქვს ბედნიერება ამგვარი სემინარის მონაწილეები ვიყოთ. სარწმუნოება და ფსიქოთერაპია, არაჩვეულებრივი სემინარის, მე მგონი მადლობის თქმაც არაა საჭირო, იმიტომ რომ არაფერს არ გამოხატავს, უფრო ახლოს დღევანდელი სემინარის ჩატარება ბედნიერების განცდასთან არის, რის გამოც უდიდეს მადლობას მოვახსენებ ქრისტიანული კვლევის ცენტრს, რომელიც ამდენი წლის მანძილზე გახლავთ საუკეთესო იდეების გენერატორი და განმასხორციელებელი. მთელი მოხსენება ხომ საინტერესო ჰქონდა ბატონ რეზოს, ერთი ავტორი ჰყავდა მოყვანილი, ჰიატი, 1986 წელს სულიერებაზე რომ გამოაქვეყნა წერილი, მაშინ ჩვენ არ ვიცოდით ამ სტატიის შესახებ. 1986 წელს ზუსტად და კარგად არ ვიცოდი სად რა გამოდიოდა, ეს ადამიანი გახადა ძალიან პოპულარული, მისი ეს კვლევა და პირველი სიტყვა სპირიტუალითი, ნამდვილად სულიერებაზე ლაპარაკობს, ყოველთვის სულიერებაზე არაა ლაპარაკი, როდესაც ეს სიტყვა გამოიყენება, თქვენ კონტექსტიდან გამომდინარე უნდა ნახოთ, ნამდვილად სულიერებაზეა ლაპარაკი, თუმცა ჰიატის სულიერებაც ჯერ არ არის ის სულიერება, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეს არაა ეკლესიური სულიერება. მადლობა ღმერთს, რომ ისინი აღიარებენ რაღაცას იმაზე მეტს, ვიდრე მისი წინამორბედები. უნდა გითხრათ, თავის დროზე, ზიგმუნდ ფრეიდის იდეებიც ძალიან პოპულარული იყო და პროგრესულიც, იმიტომ რომ იმ საშინელი მატერიალიზმის პირობებში, როდესაც ფსიქიკა არა მარტო ტვინის ფენომენად იქნა გამოცხადებული, ცოტა უფრო უფროსმა თაობამ, 1980 წელს იყო ჩატარებული, ჩვენს ქალაქში არაცნობიერზე საერთაშორისო უზარმაზარი სიმპოზიუმი, თურმე 1978 წელს იყო. ეს იყო უდიდესი მოვლენა და მე მგონი შრომების კრებული ასეთი ინტერესით საზოგადოებას არ წაუკითხავს, როგორც ეს 4 ტომი, რომელიც მაშინ იდო, თქვენი ოჯახის წარმომადგენლის უდიდესი მონაწილეობა ამ სიმპოზიუმში და დღემდე ის რჩება, შეიძლება ის აღარ არის სამაგიდო წიგნი, მაგრამ ნამდვილად საუკეთესო წიგნებია. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებს დაანახა, რომ კიდევ რაღაცა არსებობს. ეს სწორედ ის არაცნობიერი იყო, რომელზედაც თავის დროზე გაამახვილეს ყურადღება სხვა ფსიქიატრებმა. მერე ვინ რა მიმართულებით წავიდა, ეს უკვე დღეს ჩვენ წარმოგვიდგინეს, როცა ფრეიდისა და იუნგის შედარებითი დახასიათება იყო. ამით მე მოვრჩები, შევეცადე რამდენიმე თეზისი წარმომედგინა თქვენს წინაშე, იმიტომ რომ ვფიქრობთ, ვვარაუდობთ, რომ უფრო სადმე ჩიხში არ შევიდეთ. ტერმინებზე შეთანხმება ბევრად უფრო ადვილია, მაგრამ როცა ჩიხში შევალთ, მერე უფრო ძნელია. შეიძლება ლინგვისტების დღეში აღმოვჩნდეთ, რომლებიც ენა, ენა-

კილოს რა დაარქვან ვერ თანხმდებიან, იმიტომ რომ თავის დროზე ვერ შეთანხმდნენ. მოდით ფსიქემეცნიერებებში ამას ჩვენ ნუ გავაკეთებთ. კიდევ რაღაც საკითხები მქონდა ჩამოწერილი, მაგრამ მოსმენის დროს ამაზე აღარ შევჩერდებით. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ და წარმატებებს ვუსურვებ ყველა იმ ადამიანს, ვინც იმოდევანებს იმ დარგში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ მართლმადიდებლობაზე დაფუძნებული ფსიქემეცნიერებანი, ხოლო საგანი, რომელსაც მე ვკითხულობ, ჩვენი ფსიქოთერაპევტებისათვის, იგი ასე იწოდება, თანამედროვე ფსიქემეცნიერებანი და ეკლესიური მსოფლმხედველობა. არაფერი მეტი სხვა არ გაგვიერთიანებია, ამან უფრო უკეთესი შედეგი გამოიღო, რათა პირველი ამოცანა შესრულდეს განათლების სისტემაში, აღიზარდოს ის ფსიქოლოგი, აღიზარდოს ის ფსიქიატრი, ის ფსიქოთერაპევტი, რომელსაც სრული ცოდნა ექნება თავის დარგში მიღებული. აკადემიური ბაზისის გარეშე ძალიან ძნელია მერე რომელიმე ვიწრო მიმართულების სპეციალისტი და წარმატებული მოღვაწე გახდეს ვინმე-ყველას ვისურვებთ წარმატებას და შენდობას ვითხოვ, თუ რაიმე განსაკუთრებულად განსხვავებული დღეს ასე ხმამაღლა გამოვხატე. დიდი მადლობა.